

№ 8 1920 წ.

ფურცელი 6 ა.



№ 8

1920 წ.  
იანვლის 11



დენიკინი. საკვირველი საქმეა, ნეტავ რისთვის ამზობენ: „მძიმეა ქული მონამახისაო“?

# საპრობლემა.

მე მგონია, თვით განგება მფარველობს ჩვენს უნივერსიტეტს და შევედგები თუ არა მის შესახებ წერას, ისეთ ვისმე წარმოგიზავნის ხოლმე, რომ სულ მთლად ამერევა დავთარი.

აი წუხელისაც:\*)

სწორედ დამის 12 საათი იყო, როცა ჩემს კიბეზე ყვირილით და ხმაურობით ამოვარდა ოთხი მილიციონერი, შემოიჭრნენ ბინაზე, ყაჩაღებით შეცვიოდნენ ჩემს სამუშაო ოთახში, სადაც ნეტარ-სხენებულები ზრდილობა ესვენა, დაავლეს ხელი მიცვალებულს და ლანძღვა-გინებით გაათრის.

— ძლივს!—გაიფიქრე მე: ეხლა კი შევედგები მუშაობას!— და როცა ხმაურობა მოწყდა ქუჩაში და ჩემს ოთახში მყუდროება დამყარდა, მაგდას მივუჯექი და ხელში კალამი ავიღე ჩვენი მეცნიერების ტაქრის შესამკობად.

პირველი ფრაზაც არ მქონდა დამთავრებული, რომ უეცრად მარჯვენა მხარზე ხელის შეება ვიგრძენი. მოვიხედე და დავინახე, რომ თავს მადგა ჩვენი პოეტი ტიციან ტაბიძე.

— გამარჯობა, ტიციან! როგორ შეუმჩნევლად შემოსულხარ?—გაკვირვებით შევსძახე სტუმარს.

— უკაცრავად, ბატონო! მე ტიციანი არ ვახლავარ... მე ოსკარ უაილდი ვარ!—თითქოს შეურაცყოფილის ხმით წარმოსთქვა მან და tac-ით მოტრიალდა ჩემკენ. ეხლა კი დავრწმუნდით რომ პროფილმა ჩამადენინა შეცდომა და ინგლისელ პოეტსა და ჩვენს მგოსანს შორის არავითარი მსგავსება არ ყოფილა.

ამ ბოლო დროს ისე შევეჩვიე ზეზთაბუნებრივსა და უცნაურ ამბებს, რომ სრულიადაც არ გამკვირვებია ოცის წლის მიცვალებულის ოსკარ უაილდის საიქიოდან ჩემს ოთახში მოვლინება.

— რად გარჯულხართ, უაილდ მისტერ?— ვჭკიახე მე.

მან არა მიპასუხა, უსიტყვოდ ამოიღო წამოსასხამიდან რაღაც კარგა მოზრდილი წიგნი და ჩემს მაგიდაზე დასდო.

— „ვიდი მნათობი.“ № 2, —წავიკითხე წიგნის სათაური და გაკვირვებით მივაჩერდი სტუმარს.

— იცნობთ ამ წიგნსა? მკითხა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უაილდმა. მისი ხმა და გახშირებული სუნთქვა მღელვარებას ამხედლნენ.

— დიახ, — ვუპასუხე მე. უაილდმა გადაშალა მან გვერდი და თითო დააღო.

„გრ. რობაქიძე. სალომე. თარგმანი, დრავ ოსკარ უაილდისა“ ეწერა იქ.

— წაკითხული გქვნებათ!— წარმოსთქვა მან.

— დიახ, წავიკითხე!

— რას იტყვი?— მკითხა სტუმარმა.

— თქვენი „სალომე“ საოცარი ნაწარმოებია, ორი აზრი აქ შეუძლებელია.

— მაგას არ მოგახსენებთ... თარგმანსა გკითხავთ.

— თარგმანი... თარგმანი... თარგმანი გრ. რობაქიძისა გახლავთ... მაშასადამე ჩინებული იქნება, — წავიბუღებუტე მე, რადგან თარგმანი წაკითხული არა მქონდა.

— მაშ არ წავიკითხავთ?— საყვედურით შემინუნა მან და მკითხა:

— მითხარით თუ ღმერთი გწამთ, რა კაცია გრ. რობაქიძე?

— როგორ გითხრათ?— ვუპასუხე მე: თქვენი დიდი თავყენის მცეგელი გახლავთ.. ამასთანავე ის ჩვენში „მშენიერების მსაჯულად“ ითვლება. ნამდვილი არისტოკრატია გემოვნეითაც და სულითაც!

— საოცარია ეს თქვენი საქართველო!— რაღაც ირონიულის ღიმილით წარმოსთქვა მან: სწორედ —საჩემო ქვეყანაა, პარადოქსებისა და უცნაურობის სამეფო, ამას წინათ ერთ-ერთ თქვენ ვაზეთში წავიკითხე, ირაკლი მეფე ნამდვილი დემოკრატია იყო. ეხლა თქვენ ამბობთ, გრიგოლ რობაქიძე ნამდვილი არისტოკრატიაო. დედა მიწის ზურგზე სხვა არ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც მეფენი დემოკრატები იყვნენ, ხოლო გლეხები — არისტოკრატები... მაგრამ ამას თავი დავანებოთ... თქვენ ეს მითხარით, რას მერჩოდა მე გრ. რობაქიძე? რა დამიზავებია მისთვის?

— როგორ თუ დავიზავებიათ? არაფერი მესმის, —გაკვირვებით შევინუნე მე.

— არაფერი გესმისთ?— გაიმეორა მან; — მაშ ყური დამიგდეთ: ეს „ვიდი მნათობი“ ჩვენ, საიქიოს ხალხმა, ამ ერთი კვირის წინათ მივიღეთ. ჩვენ ყველა ამ ქვეყნიური გამოცემები მოგვდის იქ და გულმოდგინეთ ვადვენებთ თვალ ყურს დედა მიწის კულტურულ ცხოვრებას. უნდა იცოდეთ, რომ ყველა ხელოვანი საიქიოს ერთადა ვართ და ერთად ვეცნობით ხოლმე აქაურ ნაწარმოებებს. ყველა ენები ვიცით, რადგან მოკვდება თუ არა ვინმე, მისი სული მაშინვე მსოფლოს ყველა ენებს ითვისებს... ეს წიგნი რომ მოგვივიდა, მე შემთხვევით გენიოს მოქანდაკეთა ჯგუფში ვიყავი, რადგან როდენის და პრაკტიკელის დავამამიტაცა და ყველაფერი დამავიწყდა. უცებ იმ მხრიდან, სადაც ჩვენების, ე. ი. პოეტების, განყოფილება არის, საშინელი სიცილი შემომესმა. ეს სიცილი ისე ძლიერი და თავ-აშვებული იყო, რომ თავდაპირველად ასე ვიფიქრე, წმინდა ელია დასეირნობს თავისი ეტლით მეთქი, ე. ი. თქვენებურად რომ სვთქვით ქექა-ქუხალი მეგონა, მაგრამ როცა მივიხედე იქითკენ, სიდანაც ეს საოცარი გრგვინვა

\*) დაწერილია მ კვირის წინად.

ოპში წასვლა მას უხარის  
ვისაც კარგი ცხენი ჰქვავსო!

(ქართული ხალხური ლექსი).



დენიკინი. ეხლა კი მივხვდი რა დაუფასებელი ყოფილა ოპში მყოფისათვის კარგი და თანაც გონიერი ცხენი.

მოისმ-და და დაინახე, რომ ყველას მუცლებზე მოეკირათ ხელი და ზოგი კიდევ გორაობდა ღრუბლებში სიცილისაგან, მეც ცნობის მოყვარეობამ აშიტანა და ჩაშენე გავეშუ-ე ჩვენებისაკენ. დაძინებეს თუ არა, „მოლის, მოლის“ წამოიძახეს და ახლა ისეთი ხარხარი ასტეხეს, რომ მთელმა ზეცამ ზანზარი დაიწყო. მე გაშტერებული ვიდექი და არ ვიცოდი, რა ჩეფიქა. მხოლოდ მაშინ შენელდა ცოტათი ამ საზღაპრო სიცილის გრგალი, როდესაც მიხეილ მთავარ ანგელოზი მოვიდა და სთხოვა, თუ შეიძლებოდას დ წყნარდით, თორემ ღმერთს გაეღვიძებო ( ამა ღმერთს აგერ 15 ს უკუნეა მოხუცებულიობისაგან სძინავს).

მაშინ გამოირკვა სიკვდილის მიზეზი: თურმე ჩემს „სალომეს“ კითხულობდნ გრ. რობაქიძის თარგმანით და ეს აცინებდათ. რ-გორც იყო, ხელში ჩავიგდე ეს წიგნი და დავიწყე კითხვა თუ არა, ისეთი ელდა მეცა, რომ სამ დღეს არ მოვსულვარ გონს. ეს იყო და ეს. ამას შემდეგ ჩემი აქ ყოფნა განუწყვეტელ ხნობრივ წამებად გადაიქცა. განა ის არ კმაროდა ჩემთვის, რომ მას შემდეგ რაც ტ-

ტაბიძემ თავისი „ავტობორტრეტი“ დასწერა, მეტ სახელად ყველა ტიციანს მეძახოდა? ეხლა ეს თარგმანი კიდევ! ერთი საათიც არ გავიდოდა ისე, რომ ვინმეს დაზებირებული ფრაზა არ წამოეძახა რობაქიძის თარგმანიდან და მაშინ უნდა გენახათ როგორი სიცილი ატყდებოდა ხოლმე.

— „მაინც რა საშ-ნელია მეფის გაგუღვა“. — დაიძახებდა ვინმე და ათას კაცს ერთხმად აღმოხედებოდა ჰომიროსისებური სიცილი.

— „რისათვის დავობენ ისინი, თავის რწმენისათვის?“ — იტყოდა მეორე.

— ხა-ხა-ხა-ხა! აღრიალდებოდენ ყველანი.

— „იგი გავს მეფის ასულს პატარას, ოქროს სახურით, რომელსაც ვეცხლის ფეხები აქვს!“ — წამოისროლა მესამე.

— ხი-ხი-ხო ხო-ხა-ხა! გაისმებოდა ირგვლივ.

— „რათ მაიკერის ტეტრარქი სულ თავის მუდღის თვალებით აფრიალებულ ქუთუთაოებიდან“ — დაიყვირებდა მეოთხე...

— „იგი გავს თეთრი ვარდის სახულს სარკვეში ვეცხლისა“, — გამოეხმაურებოდა მეხუთე და სიცილი-

ხარხარის გრგვინვა შეარყევდა სასუფეველს... ველარ ავი ჯანე ამდენი დაციწვა და ტანჯვა-ვაება... ისე ვეწამე, ისე დავისაჯე, რომ რედინგის საპრობილემში გატარებული შაგბნელი ორი წელიწადი ბედნიერებათ გამოიჩინდა ამ საშინელებსთან. მე იქ აღარ დამედგომებოდა და აი, ჩამოვედი კიდეც. აქედან პირდაპირ მეტეხის ციხეში მივიღივარ ნება ყოფლობით. მანამ არ გამოვალ იქიდან, სანამ ჩემ სანაცლოდ ჩემს შემგინებელსა და ჩემს სახელის გამაბახებელ გრ. რომაქიძეს არ გამოკზავნიან... უკეთუ სხვისი ხბოს ან ღორის განზრახ მოკვლისათვის სჯიან ხოლმე კაცს, ნუ თუ სხვისი ხელოვნურ ნაწარმოების განზრახ დამახინჯებისათვის არ უნდა დასაჯონ? მე მივიღივარ, ბატონო თავუნა, და გთხოვთ, რაც მოგახსენეთ, სიტყვა-სიტყვით გამოაქვეყნოთ თქვენს ჟურნალში.

უაილდი მოტრიალდა და სანამ მე რისამე თქმას მოვასწრებდი გავდა კიდეც ჩემი ოთახიდან. „შვილი მნათობი“ ჩემს მაგიდაზე დასტოვა.

დღეს უკვე ყველა იცის, რომ სახელ გნატქმული ინგლისელი ოსკარ უაილდი მეტეხის მე-მ-ე კამერაში ზის და მოთმინებით ელოდება იქ გრ. რომაქიძეს, რომლის მისვლის ქამი იმისი განთავისუფლების ქამი იქნება.

თავუნა

### პატარა ფელეტონი.

#### ტელეფონში.

ტელეფონი, ეს ჩემი ერთად ერთი ნუგეშია! როცა ის მომიკვდება, (სიკვდილი მან ერთობ ხშირ-ხშირად იცის!) ჩემი ოჯახი ღრმა მწუხარებასა და გლოვას განიცდის ხოლმე.

საქმის დროსაც, მოკლილობისასაც, დაღბინების დროსაც და გასაქირშიაც ეს ერთად ერთი მეგობარი მყავს.

წარმოიდგინეთ თქვენ ჩემი სიხარული, როდესაც ამ გულითაღმა ჩემმა მეგობარმა, სრულიად მოულოდნელათ ქართულად დაიწყო ლაპარაკი.

რუსულად როცა ლაპარაკობდა მაშინაც თუ მიყვარდა, ახლა ხომ სიყვარული მცლამი ისე გამეზარდა, როგორც ყოველ დღიური ჩემი ბუჯეტი. ყოველთვის შიშით და მოკრძალებით ვიღებ

ხოლმე ტელეფონის ყურმილს ხელში, რათა არ შევაწუხო და განვიარისხო ისედაც შეწუხებული ტელეფონის ასული, მაგრამ ახლა უფრო მეტის თავაზიანობით ავსწიე ყურმილი და მოუთმენლად მიველოდი გამეგონა ნაცნობი სიტყვა: „ცენტრალნაია“.

— სადგური!

ჩამესმა ყურში არა ნაკლებ ნაცნობი ქართული სიტყვა და დავიბენი.

— ა?

— სადგური, ბატონო?

— რა ბრძანეთ?

— სადგური, ბატონო, სადგური?

გამოვერკვე. იმედი მომეცა. ვავთამამდი.

— მაშ მიბოძეთ ქალბატონო ევგენი გეგეჰკორი.

სადგურში რალაც მოლაპარაკება შეიქნა. შორიდან მესმოდა რალაც კითხვა პასუხი ტელეფონის მოხელეთა შორის. ბოლოს ჩემთვისაც მოიცალეს.

— თქვენ ევგენი გეგეჰკორი გნებავთ?

— დიახ, ბატონო!

— ევგენი გეგეჰკორი დაქერილია!

თავზარი დამეცა. ნუ თუ სიზპარში ვარ. ბოლშეუკების აჯანყება კარგა ხანია იყო და გათავდა, ახლა ნეტავ ვინ რას ერჩოდა.

— როგორ, რას ბრძანებთ ქალბატონო, როგორ თუ ევგენი გეგეჰკორი დაქერილია? ეგ სადაური ხუმრობაა!

სადგურში მხიარული სიცილი შეიქნა, რამაც კოტა მცც გამაზხიარულა.

— უკაცრავად... ბნო, დაქერილია მაშ რა უნდა ვსთქვათ; დაკავებულია, დაქერილია...

მე სრულიად დავმშვიდიდი და ხუმრობის გუნებაზედაც მოვედი.


— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო! თქვენ მართალი ბრძანდებით. თქვენმა მზემ, კარგა ხანია დასაქერი იყო, მაღლობა ღმერთს, ახლა მაინც დაუქერიათ.

— თქვენ მაინც დავეცინით. მაშ როგორ უნდა ვსთქვათ. „ზანიატო“—დაქერილია, დაკავებულია. მაშ როგორ?

ქალიშვილი ისეთის დაქინებით ჩამაცივდა, რომ კინაღამ მათქვევინა.

— შეიძლება ასეც ითქვას— „არ სცალია“.

მორიელი.



# ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

## წ ე ო ლ ი I.

ფილოსოფია, — ძველთაგანვე ჩემს საყვარელ საგანს შეადგენდა.

ძველათ არ ვიცი რისთვის მიყვარდა იგი, მაგრამ დღეს უკვე შეგნებული მაქვს ყოველი მისი ღირსება და სარგებლობა.

თუმცა იმ დროს ხუმრებტი წლისაც ძლიერ ვიქნებოდი, მაგრამ დღესაც გუშინდელ ამბავსავით მახსოვს ცხონებული ბაბუა ჩემის სიტყვები, მის მიერ მუდამ დღე სადილის გათავებისას წარმოთქმული:

— ცუდი გაჩენილია სწორეთა ადამიანი! დილას ჰამ! შუადღეზე ჰამ! ნაშუადღევს ჰამ! საღამოს ჰამ! ღამე ჰამ! სულ ჰამ და ჰამ! რა იქნებოდა ისე გაჩინა იმ დალოცვილ ღმერთს, რომ ჰამასულ არ გეკვირებოდა, ან წელიწადში ერთხელ, ან თვეში ერთხელ მაინც ყოფილიყო საქარო?

მართალია იორდანე ამას წრფელის გულით და ღრმა შეგნებით ამბობდა, მაგრამ შვალეები მაინც სასაცილოდ იღებდნენ და უმტყუნებდნენ, რომ ეს ქეშპარტება მას არასოდეს სიდილის წინ არ აგონდებოდა.

მე კი ყოველთვის გულმოდგინებით ვუსმენდი ხოლმე იორდანეს სიტყვებს და ცხადია ის დაუძლეველი მიდრეკილება ფილოსოფიისადმი მისგან მაქვს ნაანდერძევი.

ეს საყვარული მე ბევრს რამეში მშვეთის და მოსალოდნელ უსიამოვნებას ოახმოცდათი პროცენტით მაინც მიხსობუქებს.

გუშინ რუსთაველის პროსპექტზე, როცა გაცოფებულმა ავტომობილმა ვიღაც მოხუცი ქალი გაქვლიტა, ერთი აურზაური ატყდა. აქეთ მილიცია, იქით საზოგადოება, გვარდია, ჯარი, ქალი, კაცა, დიდი, პატარა! ავტომობილიც კი გააჩერეს. შოფერს საყვედურს ეუბნებოან. მე ვუცქერი ყოველივე ამას გუნებაში მეცივნება და ვფაქრობ:

— რა მოხდა ბატონებო, რა ამბავია, რამ შეგაშფოთათ. ეს მოხუცებული ხომ მაინც უნდა მომეკვდარიყო. სულ ერთი არ არის გაბრიელ მთავარი ანგელოზი მოკლავდა, ხოლერა იმხვეგრალვდა, პარტახტიანი ტიფი განადგურებდა, შიმშილი მოახრჩობდა, თუ ავტომობილი გაქვლიტდა მას? იქნებ თქვენ იმისთვის მრ სხანებთ მოქალაქენო, რომ ავტომობილის მოვალეობას არ შეადგენ, ადამიანის გაქვლიტა. სწორეთ სასაცილოა თქვენმა მზემ. განა თქვენ საყვედურს ეტყვი თქვენს მეგობრებს, რომ მან ეზოსთან ერთად თქვენი ოთახიც დასუფთაოს, თქმცა ეს მის მოვალეობას არ შეადგენს?...

ფილოსოფია იმითაც არის კარგი, რომ ყველაფერს მორიგებით და მშვიდობიანათ ათავებს, როგორც სამედიატორო სასამართლო.

ბაბუა ჩემ იორდანეს დროს ხალხი გაცილებით უფრო მეტ შეუგნებლობას იჩენდა ვიდრე დღეს და ამის უმთავრესი მიზეზი, ჩემის აზრით, სანოვაციის სიპრავლე იყო. იმ დროინდელ ქართველს ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლება ყოველ დღე სადილი არ დაურჩეს კაცს და ამიტომაც იორდანეს საყვედურის მნიშვნელობა მათ არ ესმოდათ.

მას შემდეგ, როგორც მოგახსენეთ დიდი ხანი გავიდა და ქართველი კაცის შეგნებაში ფილოსოფიურმა საკითხმა ჰამის შესახებ განვითარების უკიდურეს წერტილს მიაღწია.

დღეს არა თუ ბაბუა ჩემი, თითქმის ყოველი მოქალაქე საყვედურობს შესახებ იმისა, რომ ადამიანს ჰამა სჭირია. მართლაც წარმოიდგინეთ რა ბედნიერება იქნებოდა, რომ თვითველ ჩვენგანს წელიწადში, ან თვეში მხოლოდ ერთ-ერთ უნდოდეს ჰამა. რამდენ უბედურობას მოედება ბოლო, რამდენი ოჯახი გაბედნიერდებოდა. რამდენი სანოვაციე დგერჩებოდა საზღვარ გარეთ გასატანად. მე ძლიერ მივიციოს თუ ამაზე რატომ არ ფიქრობს ჩვენი მთავრბა! შეიძლება კიდევაც ფიქრობს მაგრამ არ ამხელს.

როგორც გახსოვთ, მე ფილოსოფიის საყვარულზე და მის მნიშვნელობაზე დავიწყე წერილის წერა და ამ მოკლე წინასიტყვაობის შენდგე საქირია სტატიის მთავარ საგანსაც შევეხოთ.

დღეს დილით როცა მარტიროზას გირვანქა სხმარტლში 18 მანეთი მივეცი, იოტის ოდენა აღეღებება არ დამტყობია. პატარა ნოქარს საშინლათ გაუკვირდა ეს ამბავი. ისეთი ეჭვის თვალით იყურებდა, როცა ფულს ვითვლიდი და არ ვლანძვავდი, რომ აშკარათ ვატყობდი გიჟი ვეგონე.

გიჟი კი თითონ იყო.

საქმე იმაშია, რომ მე ჯერ კიდევ იმ დროინდან, როცა სხმარტლი გირვანქა 1 მანეთი იყო, განუწყვეტლივ ვფიქრობდი საზოგადოთ ვაქრობა მრეწყელობაზე. ყოველი ახალი ფასის მომატება გირვანქა სხმარტლზე ჩემსა და მარტიროზას შორის ახალ ჩხუბსა და აყალ-მაყალს იწვევდა. როცა გირვანქა 12 მანეთზე ავიდა მე მას სპეკულიანტი ვუწოდებ და უცხო მანდილოსნები რომ არ შემოგვესწრებოდნენ შეიძლება შე აფერი ზომებიც მიმეღო. ახლა წარმოიდგინეთ თქვენ მარტიროზას დღევანდელი მდგომარეობა, როცა მე სრულის სიმშვილით, ღმილი-მოფენილი სახითაცკი, დავუთვალე მას 18 მანეთი, აშკარაა მას ორი აზრი გაუფლიდა თავში: პირველი ჩემი სიგიჟისა და მეორეც ფულების სიყალბის შესახებ.

მე კი ფილოსოფიამ მიხსნა მუდმივი ჩხუბისა, დავიდარაბისა და უსიამოვნობისგან.

— რა არის სიძვირე? ვეკითხებოდი მე ჩემს თავს, როცა გუშინ დილით გაბრაზებული ვბრუნდებოდი მარტიროზას დუქნიდან.

# ჭირის უფალი.



ო.ი.შლინგ

**ანტანტა.** (ძველი რუსეთის ნანგრევებზე დაარსებულ სახელმწიფოებს) მოითმინეთ შვილებო, თქვენ ისე ბევრნი ხართ, რომ თქვენი ცნობა ბებია რუსეთსაც გაუჭირდება.

— სიძვირე არის ნაკლები სიიაფე. რამდენითაც სიიაფე იკლებს იმდენათ სიძვირე იმატებს. მაშასადამე სიძვირეც სიიაფეა. ეს ცხადია.

— ახლა გავარკვიოთ რა არის თვით ვაჭრობა.

— ვაჭრობა საქონლის გაცვლა-გაშოკვლას ეწოდება. ესეც დღესათი ნათელი და უდავოა.

— ფული რაღა მაქნისია?

— ფული საქონელთა საქონელია. ფული ყველაზე უკეთესი მოსახმარია, ვინაიდან ფულით ყველა სხვა საქონელს იშოვი. ესეც აშკარაა.

ახლა გთხოვთ დინჯათ დაუფიქრდეთ საკითხს. ფილოსოფიაში განსაკუთრებით მავნებელია მღელვარება და საჭიროა მეტა სიდინჯე. გირვანქა სხმარტლი ღირს 18 მანეთად. ცხადია სხმარტლი უზომოთ გაძვირებულია. მაგრამ გაუსინჯოთ საკითხს მეორე მხარეც:

18 მანეთი ღირს გირვანქა სხმარტლად, აქედან ირკვევა, რომ მანეთი, ანუ უკეთ ვსთქვათ ფული, უზომოთ გაიაფებულია.

ჩვენ ზემოთ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ფული ეს საქონელთა-საქონელია. რომ ფულის მოხვეჭა სჯობს ყოველსა მოსახვეჭელსა, ვინაიდან ფულით თვით სახელსაც იყიდო. თუ კი ფული ასეთი საჭირო და თანაც სასარგებლო საგანია, მაშასადამე მისი გაიაფება ერთობ სასიხარულო ამბავი უნდა იყოს. წინათ ერთ გირვანქა სხმარტლში შაურს არავინ მოგცემდა დღეს კი ფული ისე გაიაფდა, რომ 18 მანეთს იძლევიან.

სიმართლე ვითხრათ ამ გარემოებამ ერთობ დამამშვიდა. ღმერთმა რაკი ფულის გაიაფებას მოგვასწორო, ნუ თუ პურის გაძვირებამ უნდა შეგვაშფოთოს.

სწორეთ ამის მიზეზი იყო, რომ დღეს დილით ისე მშვიდობიანათ გადავიხადე გირვანქა სხმარტლში 18 მანეთი.

მარტიროზა აღბათ ეხლაც ატრიალებს ჩემს მინაცემ ფულს ყალბი არ იყოსო.

ინისთვის ფილოსოფია უცნობი ხილია.

ეშმაკი.

### რესოლიუცია.

გამაგებინეთ, ხალხო? სად იყვნენ ეს ამდენი პარტიები, რომ ასე სრაზუმ გამოიშალნენ და ნიკოლოზის ტყავის გაყოფაში წილსა თხოულობენ?! საითაც ჯობი მოიქნია ყველგან პარტიას მოხვდება! მგონია ქართველებს მიტროპოლიტებიც არ ჰყვანდნენ, იმდენი, რაც დღეს ქვეყანაზე პარტიება!

ეს ცოციალ-დემოკრატიო, ეს პრაგოი ცოციალ რევოლუციაო, ეს ლევიო ცოციალ-რევოლუციაო, ეს პრაგოი თებერვალისტიო, ეს ლევიო სინდიკალცი მანუარალციო, ეს დანაკაცკანიო, ეს ჰინჩაკისტიო, ეს ერევნელი დემოკრატიო, ეს რადიკალნი დემოკრატიო, ეს ნაროდნი ცოციალისტიო, ეს კადეტო, ეს ბეზპარტიინი ობჩესტენი დიტელეზიო, ეს ფუტურისტიო, ეს სიონისტიო, ეს ვანქისტიო, ეს ანჩხატისტიო, ეს მენშევიციო, ეს ბალშევიციო, ანახრისტიო, ეს რვა მუშის პარტიაო, ეს ალიონისტიო, ეს ყალიონისტიო, ეს ციგარისტიო... ეჰ, მახლას... არა, საქმეს რომ რიგინობა ეტყობოდეს განა რვა კაცის პარტია ცალკე იქნებოდა!!

ვა, ვა, ვა! მიკვირს უფლის მადლმა ამ ხალხის ამბავი! რას იწვევან იქით-აქეთ გიფი მოზერებივით! შეერთდნენ რაღა, რომ მტერს თვალები დაუბრმავონ, თორემ რვა კაცმა რა უნდა ქნას, თუნდა სულ რკინის მკვნეტელები იყვნენ!

მერე, ეს მამაცხონებული შვილები იმის მაგიერათ, რომ რასაც ამბობენ აღდგენ და რეშიტელნათ გააკეთონ საქმე, სულ ყაყანსა და წერას უნდებიან! ისე აცხობენ ამ რეზოლუციებს, გეგონებათ ჯვარის მამის ლავაშებიო! მთელი ქვეყანა რეზოლუციით გადაიქცა რაღა!

ნეტავი თქვენი სიკოცხლით დღიდან ნიკოლოზის ტახტადან გადმოპინტრიშებისა, დღევანდლამდე რაც რეზოლუცია დაიწერა იმდენი შაური მამცა და პირქაღლი ვიყო თუ ხოშტაროვი რამეთ ჩავადლო!

ვა, ეე, ხუმრობაა, ხალხნო! ეს ამდენი პარტია ყოელა ერთ და იმავე ვაპროსს სულ რაზნი-რაზნი რეზოლუციებს უწერენ! შუტკა შტოლი! ყველა


თავის რეზოლუციას სწერს, ყველა ცალკე პარტიათ არის გაყოფილი! პასლედნი ცოლი და ქპარციკი რაზნი პარტიას ეკუთვნიან და ერთმანეთს არ უჯერებენ! ჩემმა აღანიკამაც დამწკი პარტია დაარსა და გაშანშალეული ულტრიმატინი წამომიყენა! არა, ქალეზმაც კაცებთან გაქიმეს არა, ფეხები!! მეებნება აღანიკა: „გინდა თუ არა მეც სლაბოდნობა მინდაო!! გესმით, ხალხნო, აღანიკაც სლაბოდნობასა თხოულობს!!! მეც ავდექი, ამოუქირე პანდური და გავაგდე სახლიდან. სლაბოდნობა გინდა და ისლაბოდნე მეთქი. განა არ ვატყობდი რომ ამ ბოლო ცხრას სხვაგან დაიწყო კაკანი, მაგრამ იმას როგორ ვიფაქრებდი თუ ჩემი რეგმატიზმიანი აღანიკა იმ დრაგუნცი ცხენის კუდილით თამაგაკრეკილ კურსიცებს აყვებოდა! უნდა გეყურებინათ თუ როგორ შამამიბლდირა!! გეგონებოდათ წმინდა გიორგის კურატიო! — მე გეჩვენებ როგორ უნდა გავდებოა“, დამიყვირა და მოჰკურცხლა. თურმე კამიტატში უჩივლია! დამიბარეს. ბევრი ისოვეტეს კამიტატის ჩლენებმა, დიდი ჩხუბიც მოუვიდათ ჩემ თაობაზე, მაგრამ თქვენ ჩხუბი უნდა გენახათ რეზოლუციას რომ სწერდნენ მაშინ! ერთი იძახის: „ვინაილგან არტემამ ცოლი გააგდოვო“, მეორე ეებნება: „არა, ვინაიდან კი არა, რადგან არტემამ გააგდოვო“... შაიქნა ალიაქოთი: „ვინაილგან არტემამ გააგდოვო, რადგამ არტემამ გააგდოვო“... ევებნები, ხალხნო, რა გაჩხუბებთ?! თქვენიც აიღეთ და ორივე სიტყვა დასწერეთ: ვინაიდან-რადგან არტემამ გააგდო თქო... ერთი სიტყვით მითომ ორჯელ ვამიგლია მეთქი. ბევრი ველაპარაკე, მაგრამ ყური ვინ მათხოვა, ყველა თავისას გაიძახოდა: „ვინაიდან, რადგან... ვა, მიკვირს ამ ხალხის ამბავი. კაცო, რადგანაც, თუ ვინაიდან, ხომ გავაგდე, გავაგდე რაღა, აშკარათ გავაგდე.“

შენც აიღე და ამ გავდებისათვის ნაკაზანია მამეცი თუ გინდა რომ საქმე გაკეთდეს, მაგრამ ისინი რეზოლუციის ჩხუბს უნდებიან და მე გავაგდე, თუ გამოვაგდე ხმას არავინა მცემს და არხეინათ დავსეირნობ! ვოტ ვამ ი რეზოლუცია!

გოგია.



საქართველანში.




ოი შლინკ

მუხაგბი. აი ახლა სცადოს თუ კარგი ბიჭია და შევიდეს შიგ თუნდ ერთი სოციალისტი.



უზენაესი მმართველნი საბჭოთა რუსეთისა.



შამლო.

სახალი.

სიცივე.


## იხვი და ქათამი.

(იგავ-არაკი)

საღამო იყო... მზე ჩადიოდა.  
 ჰორიზონტს იქით იმალეობდა.  
 ჯერ კიდევ იყო ტბაზედ სხივები,  
 სადაც სცურავდა ბევრი ტივები.  
 ტბის სიღრმე იყო ჩაფიქრებული,  
 როგორც ასული შეყვარებული;  
 მხოლოდ ნიავი არხედა ტბასა,  
 ვით ვაჟის სუნთქვა ქალწულის თმასა.  
 მოსეირნენი ტბისა ნაპირად,  
 მრავალი იყვნენ დღეს, როგორც ხშირად.  
 და, აჰა იხვი ჩაფრინდა ტბაში,  
 სულ-ყველამ დაჰკრეს ვაშა და ტაში.  
 იხვი სცურავდა ტბისა სივრცეში,  
 ხან იკარგოდა იმის სიღრმეში...  
 თითქოს იმსხვერპლა. აღარ მოსჩანდა...  
 დაღონდა ყველა, რომ დაგვიანდა.  
 მარა აი, იქ ამოყო თავი...

მოსცურავს აქეთ ვით მალი ნავი,  
 ირგვლივ ეხვევა ღელვისა რგოლი,  
 ტბის გულ-მკერდს აზის ნაკვალი ზოლი.  
 იხსენიებდენ იხვს დიდებითა,  
 ტაშსაც უკრავდენ ხობტა-ქებითა.  
 იქვე ქათამი ამას ხედავდა,  
 და იხვის ქება მას გულს უკლავდა,  
 მოიწადინა იხვსავით ქება,  
 მოსეირნებთან თავ-მოწონება.  
 ფრთა შეიბერტყა და მოიწურა,  
 ქათამი ტბაში გადაეშურა...  
 ცურავდევრ შესძლო (ან რა იცოდა)  
 ფრთხილი მორთო... იღუპებოდა,  
 ხედავდა ყველა და სიცილითა  
 თვალები ჰქონდათ საესე ცრემლითა.  
 საბრალო ქათამს ამოსვლა უნდა,  
 მარა ვერ შესძლო და გადაბრუნდა...  
 დაყურყუმალდა და დაიძირა.  
 ყველა აცინა და გააკვირა.

იხელი.



# სოციალური სურათები.

(საბჭოთა რუსეთში).



უილ  
ГАНДЖА

**ინტელიგენტი.** იწამეთ ღმერთი, მოიღეთ მოწყალება! ამ ორიოდ წლის წინათ მეც ხომ კაცი ვიყავი.

## პროფინციის ქრონიკა.

**ქალ. ზუგდიდი.** ხუთი თვის ავადმყოფობის შემდეგ წყნარად განუტევა სული ზუგდიდის კოლოპრატივ „მოსამსახურ“-ის 30000 მანეთმა, რასაც გულდამწვარი და გულ დათუთქულნი ყოფილი გამგეობის წევრნი: სოგრატ კეშელავა და მექი კობახიძე აუწყებენ ამ კოლოპრატივის ნათესავნაცნობებს. ორმოცი არის 29 დეკემბერს. იმედია ზემოაღნიშნული პირნი მობრძანდებიან და თავისი მობრძანებით ანუგეშებენ, როგორც გამგეობის წევრებს, აგრეთვე თავის თავსაც.

— ექიმი ანდრი დგებუაძე ღებულობს ბაქარით ავადმყოფებს და მაკავითი გულის ფრიალ ავარდნილებს ახალ ბურტუაზიულ კლუბში, ყო-

ველ დღე საღამოს 9-საათიდან დილის-მ საათამდე. მისამართი: ზუგდიდი „ბაქარის ქუჩა, მაკავოს შესახვევი“.

— აქაურმა მცხოვრებლებმა საჩივარი აღძრეს ქალაქის თვითმართველობაზე, რათა ამ უკანასკნელმა მოუკლოს ცოტა ქუჩების განათებას, რადგან მეტის მეტი სინათლისაგან გამვლელებს თვალები უფუჭდება.

— აქციზის მოხელე ზვიტაის გულის ფრიალი ქონია ავარდნილი. ექიმს გამოუწერია მისთვის: დღეში ერთხელ შევიდეს ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კოლოპრატივთა კავშირის სასადილოში და ცარეელი ბოთლები სუნოს, რასაც პირნათლად ასრულებს. რეცეპტი რადიკალური აღმოჩნდა, ავადმყოფი ცოტ-ცოტა იკეთებს.

**ჭინკა.**

**მუხრანი** სათემო ერობამ გადაწყვიტა: ყოფილ საერობო გზებზე სათევზო ადგილები მოაწყოს, ხოლო გზე 'ი კი ვენახებში გადაიტანოს. სამაგიეროთ მუხრანის მევენახეთა ყრილობამ დაადგინა: არსებული სათემო ერობის გამგეობა წყალს გაატანოს და ნაცვლად ამოირჩიოს ახალი გამგეობა, რომელიც ძველ გზებს აღადგენენო. მუხრანში ძლიერ განვითარდა საქარხნო წარმოება. თითქმის ყველა სახლთან დაარსებულია არაყის სახდელი ქარხანა; საქარხნო წარმოების განვითარება გამოიწვია ნედლი საქონლის: ქერის პურის და სიმინდის სიქარბკმ.

**აკლემი.**

**ფოთი.** რა არის აქ შეუძლებელი? მთელი ქალაქი მოლიციონერი რო—იას სიკვდილზე ლაპარაკობს. ის გუშინ საღამოს პოსტზე იდგა. შუალამეზე სახლში დაბრუნდა და დილით უკვე მკვდარი ნახეს. ამბობენ, მან სიზმარი ნახა: „თითქო მისთვის ქალაქის გამგეობას მიეცეს: ჯამაგირი 40% მომატებით, ფესაცმელი, ტანისამოსი და წაროდვიანეთ ნაბადიკ კი.“ საბრალოს თურმე მეტის სიხარულისაგან გული გაუსკდა. ასე წუთიერია აღამიანის სიციცხლე. ბეჩავს გავიქებამდე როცა ცოცხლა დარწმუნებოდა სიზმრის სიცრუეში და სიკვდილს გადარჩებოდა. \*)

**ხაშური.** მომარაგების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა სად. ხაშურის კონდუქტორების გამგესთან, რათა ამ უკანასკნელმა დაუთმოს სამინისტროს ის მაყლი, რომელიც სციევა კონდუქტორებისათვის მიცემულ „ტულუბებს“. მატყლი, მოგ ხსენებათ სავალიტო საქონელია და იმედი აქვთ მოლაპარაკება კეთილად დაგვირგვინდება.

**სოფ. ეწერი.** (სამეგრელო) დაინიშნა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სად იმყოფება ჩვენი სოფლის სამკითხველო: იმ სახლში, სადაც მუდამ ქეფია; იმ შენობაში, სადაც მუდამ აყალ-მაყალი და ჩხუბია, თუ იმ სახლში, სადაც მუდამ კარტის თამაშია. გაზეთები მას არ მოსდის რომ იმის კვლავ მინც მიეგნო ვისმე.

**გუ—ლი.**

**აკეთი** (გურია) ტონისოალზე დამთავრდა სახალხო სახლის აგება, რაიც უკვე აკურთხეს. სახალხო სახლზე აღიმართა დროშა ზე წარწერით: „აკეთის ცენტრი“ და გამოიცა ბრძანება, რათა აქ გაშენებულ იქნას ქალაქი.

**თათარხან.**

\*) გ. დ. ორბოდა სიხარულით სიკვდილს, მაგრამ ხომ შეიძლება მორე დღეს ჯავრისაგ ნ მომკვდარიყო, როცა გაიგებდა ის ძ. ლში ნახული სიზმარი იყო და არა ცხადი?  
**ეშმაკი.**

**ახალციხე.** „ეშმაკის მათრახის“ გამოხსენებამ ძლიერ დააღ—ნა ადგილობრივი საზოგადოება. აქ მათრახი ისედაც განვითარებულია და თუ ამას კიდევ „ეშმაკის მათრახიც“ მიემატა, მაშინ ისლადავგრჩენია წავიდეთ და ფოცხოვის ხიდს მახლობლად რომ საქალაქო ტლაპოა იმაში ჩავიხროთ თავი.

**კვესი.**

**ბათუმის ქრონიკა.**

ბათუმის ნავთსადგურს მოადგა ორი დიდი გემი პურის ფქვილით დატვირთული, გამოგზავნილი გენ. დენიკინის მიერი ბათუმის და მისი ოლქის მგზავრებთა საქიროებისათვის. ამ ფაქტმა დიდი გავლენა იქონია, როგორც დონის ფულების კურსის აწევებზე, ისე ქართული ორიენტაციის განიავებაზე.

გირვანქა პური (მხოლოდ დონის ფულზე) ელირება 3 კაპ.

ჯერ-ჯერობით თვითოულ ქალაქის მცხოვრებს დღეში მისცენ გირვანქის მეთექვსმეტედს, ვინაიდან უქმელობაზე დაჩვეულ ხალხს მეტის მიცემა ხიფათს უქადის.

გურიას ჰყავდა ცნობილი პიროვნება ნიკოკი. ბათუმს ჰყავს ცნობილი პიროვნება კოწია. ამ დღეებში მან გაუგზავნა გენ. დენიკინს შემეფი შინაარსის დეპეშა: მე, როგორც საინფორმაციო ბიუროს გამგე ადგილობრივად, პირნათლად ვასრულებდი და ვასრულებ ჩემს მოვალეობას. ნაყოფი ჩემი მოღვაწეობისა თვალსაჩინოა ამისათვის, უმორჩილესათ გთხოვ, შექვენო უაღმატებულმავე, გამოცვალთ გვარი, რასაც მე ჩავთვლი უმაღლეს ჯილდოთ. დეე დღეიდან გვარი ჩემი იყვეს — „მაქარკინ“-ი“.

ადგილობრივ შავრახმელთა გაზ. „ნაშ-კარა“-ის რედაქციის კოლეგიამ დაადგინა: გაეგზავნოს ყოველდღიურათ გაზეთის №№-ში პარიზის სამშვიდობო კონფერენციას რათა გაუადვილოს მას გაერკვეს იმ კითხვებში, რომლებიც ენება ამიერ კავკასიას და კერძოთ საქართველოს.

დიდ ბედნიერებას განვიცდით ბათუმის მცხოვრებნი. წინეთ პირდაპირ აუტანელი იყო ჩვენი მდგომარეობა განუწყვეტელი საზოგადო მოღვაწეებით. ქალაქის საბჭოს სხდომები, სხვა და სხვა პარტიული, როგონული საბჭოები და ბევრი სხვა და სხვა სდომები მგონია დღეში 48 საათი რომ ყოფილიყო, ვერ მოასწრებდი ყველა სხდომებზე დასწრებას. გამოცხადდა საალყო წესები. არ არის არავითარი კრებები. ექვს კაცს ზევით ფენიში!

ყოველივე პრაქტიკული საკითხები ირჩევა პატარა პატარა კომისიებში, სადაც კუნძულებში. რა უყოთ, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ხდება იქ! რა უყოთ, რომ საზოგადო აზრი დახუროს! სამაგიეროთ ჩვენ შესვენებულები ვართ. თავის დროზე ესაძლია, თავის დროზე ვვანშობთ (თუკი გვექნება, რა თქმა უნდა ამის საშუალება), თავის დროზე ვწვებით. გამოერევა ხანდისხან ურჩი, რომელიც არ ემორჩილება გამომუშავებულ დიეტას. მარა თქვენ არ იფიქროთ, რომ მათ მართლა ჩამოხრჩობა მოელოდეს? არა!

გამოდი უდროვო დროს ქუჩაში—ჯარიმა, სადმე ექვს კაცზე მეტი ხართ—ჯარიმა, ზედმეტი ღვინო მიირთვი—ჯარიმა, მილიციას ავინე—ჯარიმა, პასპორტი არა გაქვს—ჯარიმა, სანიტარულ წესებს არღვევ—ჯარიმა, ტაქსაზე მეტათ გაყიდე—ჯარიმა, ტაქსაზე მეტათ იყიდე—ჯარიმა, ბონის ფულზე ღონის ფულზე 120% მეტი მიეცი გადახურდავებაში—ჯარიმა! მხოლოდ ამ დაჯარიმებულთა რიცხვში სკარბობს ქართველობა.

ეტყობა უქეტესი ნაწილი ადგილობრივი ადმინისტრაციის მკვიდრთაგან უნდა იყოს შემდგარი, რადგან ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევენ ჩვენ. X

## გაეროვნებულ კანცელარიაში.

გრიგოლი რომ დიდი პატრიოტი იყო, ეს ბოლო წლებში აშკარად გამონჩადა. რაც უნდა სასტიკ მსაჯულს გადაეხინჯა გრიგორის ნ. მოქმედარი წუნს ვერაფერში დადებდა; ერთის წუთითაც ვერ შეიტანდა რაიმე ექვს კაცი ამ პატივცემული გვამის საშობლოსადი სიყვარულში-

მე შენ აეტყვი ქართულ პატრიოტულ გაზეთს არ ყიდულობდა.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრი არ იყო! იუბილეების დროს არ ყოფილა დეპუტატებში! ფულები არ უგროვებია სხვა და სხვა ფონდებისათვის! ყულობებით არ უფლია, ხელის მოსაწერი ქალღმრთლები არ უტარებია, მისალოცი დეპეშები არ უგზავნიდა, პანაშვიდებს არ დასწრებია, მეფე ერეკლეს გასასართლების დროს თმა და წვერი არ უგლეჯია! შეზარხოშებულს საქართველოს სადღეგრძელო არ გადაუკრავს! „აბა დელი დელია, საქართველო ჩვენიაო“ არ შემოუძახებია!

რომელი ერთი მოვუფალოთ, რომელი ერთი გავიხსენო! ჩვენს გრიგოლს დასელებების საწინააღმდეგოდ მოძრაობაშიც დიდი წილი უდევს. საქმე იქამდსაც კი მიღწია, რომ სილოვან ხუნდაძის „მკვლევები და მცველები“ სულ ზეპირად დაისწავლა.

ჰო და აი ასეთ კაცს დაედება რაიმე წუნი!

რა ვუყოთ, რომ ერთ დროს ეთავლად ემსახურებოდა ძველ მთავრობას და საქართველოს სახელის ხსენებისაც კი ეშინოდა. არც იმაშია გასამტყუნარი, რომ თავისი გვარი ბრიყვად ბრიუკავად გადააკეთა. მართალია გრიგოლ ბრიუკავის შესახებ ხშირად უთქვამს აკაკის: „ერთმა უგნურმა თავუნამ იუკადრისა თავგობაო“ და სხვა, მაგრამ გრიგოლი არც ამით დაიძახებდა; პირიქით საქებარც არის: დიდებულ მოღვაწეს საწერი თემა მისცა და თუ ის არა აკაკის ნიჭი ვერ დაკვესავდა და ეს მშენიერი ლექსიც ის შეიქნებოდა.

დაახ, არც ერთ ამაში ჩვენი გრიგოლი გასამტყუნარი არ არს, ვინაიდან მაშინ ერთი დრო იყო, მაშინდელი დრო ამას მოსთხოვდა გრიგოლს. „დრონი მეფობენ“! ეს პრინციპი კარგად იცოდა გრიგოლმა. და ამიტომაც იყო, რომ პენსიის დამსახურებამდე წელზე ფეხს იდგამდა და მთელი თავის არსებით ემსახურებოდა ვისაც ჯერ იყო.

მაგრამ დამსახურა თუ არა პენსია, სიცოცხლე მოგეცეთ, გრიგოლი წელში გასწორდა: თუმც უკვე მოხუცი იყო, მაგრამ პატრიოტიზმის ჩახშურება ნაკადულმა ძალუმად ამოხეთქა მის არსებაში და მაშინვე წერა-კითხვის საზოგადოების წევრად ჩაეწერა, პატრიოტული გაზეთიც გამოიწერა და სამამულშილო ხენეშასაც უმატა.

გრიგოლის ასეთ ნაირი შეცვლა მყისვე გაიგო ჩვენმა მგრძობიარე საზოგადოებამ და ჩვენი ბრიუკავი ნელ-ნელა წააჩოჩეს წინ, წინ!

მოკლეთ რომ ესთქათ გრიგოლ ბრიუკავამ პირნათლად განვლო ცნობილი ფორმულის საფეხურები: „კარგი ქართველი იმავე დროს კარგი რუსიც არისო.“ ჯერ კარგი რუსი იყო, მერე კარგი ქართველი შეიქნა.

ბ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე გრიგოლმა ასე თუ ისე შეინარჩუნა ახალი მდგომარეობა: ძველ მუნდირში მორთული მშვიდად იჯდა ნაციონალურ სავარძელში და თან ხაზინიდანაც პენსიას იღებდა. უნდა ითქვას, რომ გრიგოლი რევოლიუციასაც მამულიშვილურადა შეხვდა; თუმცა პირველ დღეებში სულ იმას კითხულობდა (რასაკვირველია ჩუმათ) პენსიას ხომ არ მოგვისპობენო.

მაგრამ გამოცხადდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა, გრიგოლმა ქუდი ქერს ესროლა. გვარი ისევ ბრიყვად გადაიკეთა და როგორც ერთ-ერთი სოციალისტურა პარტიის წევრმა რიხინათ მოითხოვა თავ სი პარტიის სახელით შესაფერი ადგილი, როგორც „გამოცდილი“ მოხელემ.

— ისე წავიყვან მართვა-გამგეობის საქმეს, რომ მთელს საქართველოს გავავიკრებო.

— გრიგოლ ბრევიკემ რასაკვირველია შესაფერი ადგილი მიიღო და პირველი ულტიმატუმი, რომელიც მან წარუდგინა მთავრობას, ეს იყო მისი კანცელარიის გაეროვნებაზე ზრუნვა.

— ნაციონალიზაცია ჩემი ცხოვრების დევიზი იყო და ნება მომეცით ავამუშავო ჩემი ნიქიო.

მთავრობა საქმის გადაწყვეტას აგვიანებდა. სამაგიეროდ გრიგოლი ბლომათ მელანს ხარჯავდა: ათიოდე წერილი მოათავსა პატრიოტულ გაზეთებში ნაციონალიზაციის აუცილებლობის შესახებ. წერილებს, წინააღმდეგ ძველი ჩვეულებისა, რთული სახელი და გვარი მოაწერა, წარმოიდგინეთ განსვენებული ჩამაც კი არ დაიფიქსა.

გრიგოლის „ბოლომ“ ნაყოფი გამოიღო, კანცელარია გაეროვნეს, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ შესაფერი თანამოსამსახურენი ვერ პოგროვა გრიგოლმა თავის კანცელარიაში. ზოგმა ენა არ იცოდა, ზოგმა საქმის წარმოება და სხვა. მაგრამ გრიგოლს რა არ დაუძლეოდა ცხოვრებაში: ჯერ იყო და პენსიის ციხე აიღო, მერე პატრიოტიზმის და ახლა განა შესაფერი მოსამსახურეებს ვერ შექმნიდა?

— ბატონო გრიგოლ, ეკითხება კანცელარიაში ერთი თანამოსამსახურე მოწიწებით, — ეს წერილი ლეჩხუმის ერობის სახელზე იგზავნება, ერთი მითხარით თქვენი ჰირიმე რომელ ქალაქში უნდა გაიგზავნოს.

— ქალაქ ლეჩხუმში! მიახლო გრიგოლმა, — ნუ თუ ასეთი უბრალო რამე არ იცი! ქართველი კი ხარ! სირცხვილია ღმერთმანი.

მოხელე სირცხვილით დაიწვა და ძლივს ჩაილულ-ლულა:

— ბნო, ასეთი ქალაქი მგონი ქარტაზე არ უნდა იყოს.

— მერე რაო! ეს ქარტა ხომ რუსების ხელშია შედგენილი და განა ისინი ჩვენს ქალაქებს სისწორით შეიტანდნენ! ნუთუ არ გავიგონია მათი მუხანათობა, ან შენ გვება ჩვენი დამოუკიდებლობის მტერი ხარ და კიდევ რუსების სიყვარული გაქვს არ გინდა დაიჯერო მათი სიყვარვე! ეჰე! ტყაპუქაძეც მიფრთხილდა!

ტყაპუქაძე მიწასთან გასწორდა. ბოლოს მკვირცხლად მიბრუნდა თავის სტოლისკენ და კონვერტზე ლამაზად დააწერა: გაროდ ლეჩხუმში. ლეჩხუმის ერობას.

— პატივცემულ-გრიგოლ მიმართავს საფარძელში მჯდომს მერე მოხელე, — თქვენ მიბრძანეთ, რომ ქალაქი გურია გურიის დედა ქალაქიაო, მაგრამ გეოგრაფიის წიგნში კი სწერია — ოზურგეთიო. არ ვიცი ღმერთმანი რომელ ქალაქში გავუგზავნო გურიის კომისარს ეს წერილი.

— შენც კჳუის კოლოფი მყევხარ, — გაწყრა გრიგოლი, — განა ქვეყანაში ერთი და ორი ქა-

ლაქი! არის ქალაქი გურია, არის ქალაქი ოზურგეთი, მორჩა და გათავდა, მე რაღას შეკითხები!

— კი მაგრამ...

გრიგოლმა ისეთის სიმკაცრით შეხედა მოხელეს, რომ მან ხმის ამოღება ვერ შესძლო და სტოლთან მიბრუნებისთანავე კონვერტს წააწერა: გურიაში, გურიის კომისარს.

ასეთნაირის კითხვებით მოსვენებას არ აძლევდნენ გრიგოლს უვიცო თანამოსამსახურენი. ბოლოს ყველას საყურადღებოდ კანცელარიაში გამოაკრა საქართველოს ქალაქების სია, რათა ყველა მოსამსახურეს ცოდნოდა სამშობლოს შესანიშნავი ქალაქები. განცხადებაში ასე ეწერა: „საყურადღებოა მოსამსახურეთათვის:“ ვერაგმა რუსმა ჩვენი ტანჯული საქართველო ორ გუბერნიით მარტო გაყო, ახლა კი იცოდეთ, რომ ჩვენ გვექნება შემდეგი გუბერნიები: ქიზიყის, ქართლის, კახეთის, ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭის, სვანეთის, ლეჩხუმის, აფხაზეთის, აქარის, ერუშეთის და სხვა და სხვა. ქიზიყის დედა ქალაქია ქიზიყი,

ქართლის-ქართლი, ჯავახეთის-ჯავახეთი, სამეგრელოს სამეგრელო და სხვ. კიდევ გვაქვს: ონი, ხონი, ზესთაფანი, ხიდისთავი, ქუთაისი, ოზურგეთი, გზავნეთ ყველა ამ ადგილებში წერილები მენუ შეკითხავთ!“

და მოსამსახურენიც დაულაღავად გზავნიან წერილებს: ზოგს აწერენ ომისს, ზოგს დესკურიას, ქიზიყის, რაქს.

ხოლო მიღების დროს რა გუნებაზე ღებნიან ადრეატები ამისას ვერას გეტყვით, ხოლო ამბობენ კი რომ გაეროვნებულ კანცელარიაში თვითონ ადრესატები ჩამოდიან წერილების მისაღებათ. ბევრი ბედნიერად სთვლის თურმე თავს, თუ ამ კანცელარიაში ერთი კვირის ძებნის შემდეგ მაინც ნახა თავისი წერილი, როკელიც ერთი თვე მოჰქონდა ფოსტას მოგვხსენებათ, რომ ჩვენი პროვინციისათვის ახლანდელი თფილისი უწინდელ ნიუიორკზე უფრო შორს არის.

ასეთი წესებია ჩვენი გრიგოლის კანცელარიაში დღეს. თითონ გრიგოლი ბედნიერად სთვლის თავის თავს, არავის წინაშე ქელს არ იხრის, ძველებურად არ ეშინია საშახუროდან დათხოვის. უწინ რვა საათზე თუ კანცელარიაში იყო, ახლა თორმეტზედაც მოსული არ არის.

ერთობ გაფაციკებით ადვენებს ჩვენი გრიგოლი თვალყურს ჯამაგირების მომატების საქმესაც, არაფრად მოსწონს მაინცდამაინც სატარიფო პლატის მიერ მიღებული 40% მომატება. მოგვეცეს რაღა ასი და ორასი პროცენტები გაიძახის ხოლო გრიგოლი მოსამსახურეთა კავშირის კრებაზე.

ახალი უებარი წამალი ეოკელგვარ სენისათვის

# „ეშმაკის მათრახი“.

ვევალ ექიმები ერთხმად აღიარებენ, რომ „ეშმაკის მათრახი“ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა სამკურნალო მეცნიერებაში.

„ეშმაკის მათრახი“ ქიურ ლაბორატორიების გამოკვლევის თანახმად წარმოადგენს შესქელებულ სიცილს, რომლის წვეთები ჰკურნავს ეოკელგვარ სნეულებას.

„ეშმაკის მათრახი“ ხელს უწუებს სისხლის მოძრაობას და სწობს სისხლ-ნაკლებობას.

„ეშმაკის მათრახი“ ჰკურნავს ჭლექს, რადგან სიცილისაგან სკდება ფილტვის მუწუკები.

„ეშმაკის მათრახი“ სწობს კუჭის კატარს.

„ეშმაკის მათრახი“ ჰკლავს მელანქოლიის ბაქტერიებს!

„ეშმაკის მათრახი“ წარმოადგენს აგრეთვე უსუნო-უიერეს ნივთიერებას: დღევანდელ შიმშილობის დროს „ეშმაკის მათრახი“ — მისწრება: ვინც სანთავის ნაკლებობას განიცდის, ვურჩევთ შეიძინოს „ეშმაკის მათრახი“ და წაუკითხოს მშიერ ცოლ-შვილს: — სიცილი და ავიწუებს მათ შიმშილს!

ექიმებმა საბოლოოდ შეიმუშავეს შემდეგი რეცეპტი „ეშმაკის მათრახის“ წამლისა.

Rp. „ერთობა“ — 0,0.

„საქართველო“ — 0,00.

„სახალხო“ — 0,000.

„ეშმაკის მათრახი“ — 100,0.

M. D. S. თითო ცალი, კვირაში ერთხელ.

ვაცხადებთ ყველას საშუალებად რომ ავთიამება დაიბადოს „ეშმაკის მათრახი“ და, ჩვეულებრივად ვართი ათასად ჰყიდინან ამ ეშმაკის მათრახს.

ახქარდით და შეიძინეთ ჰირდანიჩი ჩვენგან.

ჩვენთან ღირს — ცალი 6 მანეთად.

ახვლედიანის და სხვა ავთიამებში — ცალი 6000 მანეთად.

# ანგარიშის კაცია.



**გამვლელი.** მეგობარო არ გეშინია ამ ქუჩაში რო დაგიდგამს მაშინა და ბექდაე ყაღბ ბონებს?  
**ყაღბი ფულაღის მჭარელი.** რის უნდა მეშინოდეს. სამიოდ მილიონის დაბექდვას ხომ მოვასწრობ.  
 აჩიდან ერთ მილიონს ვიქილებს მესციმ თავის გაპართლებაში და ორი მილიონი წჷინდა მოგება დამჩება.

## ფო ს ტ ა.

**ფიციკს.** თქვენ იწერებთ: „ისე ამირია ამ კომისრებმა თავში ყველაფერი, რომ ლამის მეორე სართულიდან გადმოვხეო“. შანჯეთ. თუ მეორემ არ ვ შევლოთ მესამიდან სცადეთ.

**მოლოშენელს.** თქვენ სურათში ვეძებთ, ვეძებთ აზრი და არ იქნა ვარ მუავგენით. ტყვილად მოუცილთ მთელი საათი. მოთმინება ჩვენც დაგვეკარგა და სურათი კალათისკენ გავისტუმრეთ.

**ჩხერელს.** თქვენი ლექსის შესწორება შეიძ-

ლებოდა, მაგრამ არ ვბეჭდავთ ქართული ანდაზის მიხედვით: „წაქეულს არა სკემენ“.

**ა. კვახუნას.** თქვენი ლექსი ერთობ სერიოზულია. ჩე ნი ჟურნალი ღიისი ირ არ ს მისი დაბექდვით გაბედნიერებისა.

**ტუზს.** ზეტად უმნიშვნელო რამეზე გსურთ დახარჯოთ ასეთი კოზირი. უმჯობესია შემოვიწინა-

**რკინის გზის ეშმაკს.** თქვენ წერილზე ეშმაკმა მისთვის სტკოკა ვარიო, რომ ბარათს არ ეწერა სახელი და გვარიო.